# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ლენინის ორდენითა და მესამე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების შესახებ.

დიდი სამამულო ომის წლებსა და ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის, მშვიდობისთვის ბრძოლაში დაუღალავი შრომისთვის და დაბადების დღესთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენითა და მესამე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 19 დეკემბერი.

# საბჭოთა საქართველოს მაღალი მიჯნები

**გუშინ** თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ნ. ვ. გურგენიძე**, **ზ. ო. ვახაძე**, **თ. შ. კაბულოვა**, **ო. ნ. კარბა**.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე**, **პ. გ. გილაშვილი**, **გ. ნ. ენუქიძე**, **შ. დ. კიკნაძე**, **გ. ვ. კოლბინი**, **თ. ნ. მენთეშაშვილი**, **ზ. ა. პატარიძე**, **ჯ. ი. პატიაშვილი**, **ზ. ა. ჩხეიძე**, **თ. ი. მოსაშვილი**, **ჟ. კ. შარტავა**, **ო. ე. ჩერქეზია**, **ნ. ა. ჭითანავა**, **ს. ე. ხაბეიშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ**. მან შეიტანა წინადადება ფეხზე ადგომით სცენ პატივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების ი. ა. შევარდნაძისა და ი. რ. ხვედელიანის ხსოვნას.

მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დეპუტატებმა და სესიის სტუმრებმა უდიდესი აღფრთოვანებით ერთხმად მიიღეს მისასალმებელი დეპეშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი მისი დიდი სამამულო ომის წლებსა და ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში დაუღალავი შრომისათვის და დაბადების დღესთან დაკავშირებით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დეპუტატ **პ. გ. გილაშვილს**. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უხუცესთა საბჭოს სახელით მან შეიტანა წინადადება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიონ დეპუტატი **ვ. მ. სირაძე**.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება დეპუტატ **ვ. მ. სირაძის** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

სიტყვა მოხსენებაზე „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა" ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ **ე. მ. ჯაფარიძეს**.

მოხსენება „საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება" გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ფ. ა. ანანიაშვილმა**.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ზ. ა. ჩხეიძემ**.

სესია მუშაობას განაგრძობს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 249 (6304)

1978 წ. 21 დეკემბერი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




# ტანვარჯიშის ზეიმი

**ძველი** თაობის სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თუ რა პოპულარობით სარგებლობდა ტანვარჯიში საქართველოში იმთავითვე. ერთის მხრივ ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ მაშინ ჩვენში დანერგილი სპორტის სახეობები თითზე ჩამოსათვლელი იყო. მაგრამ მთავარი, ალბათ ის იყო, რომ ეგრეთწოდებული სპორტულ-ტანვარჯიშული გამოსვლები რეგულარულად იმართებოდა ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში. გიორგი ეგნატაშვილისა და გაიოზ ბერელაშვილის, გულო რცხილაძის, გიორგი ბაბილოძის, ლევან ყანჩაველის, მოგვიანებით კი ალექსანდრე ჯორჯაძისა და ნიკოლოზ თაყაიშვილის სახელები ყველას პირზე ეკერა.

შემდგომ წლებში სარბიელზე გამოჩნდნენ მზია ჯუღელი და სერგო ჯაიანი, მზია ნინოშვილი და როზა ბერიკაშვილი, ალექსანდრა ჯანუყაშვილი და პაატა შამუგია...

სამწუხაროდ, დღეს ასეთი მოკაშკაშე ვარსკვლავები რესპუბლიკაში ნაკლებად გვყავს და, ამდენად მისასალმებელია ჩვენი სპორტის მესვეურთა ნაბიჯი ტანვარჯიშის დღესასწაულის ჩატარების თაობაზე.

* * *

**ზეიმში**, რომელიც გუშინწინ გაიმართა თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე, მონაწილეობა მიიღეს სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებმა, აკრობატებმა, ბატუტისტებმა. მაყურებელთა წინაშე წარსდგა საქართველოს თითქმის ყველა საუკეთესო ტანმოვარჯიშე, რომელთა შორის საკავშირო ნაკრები გუნდების წევრებიც ვიხილეთ.

საზეიმო აღლუმის შემდეგ სარბიელზე პირველნი 9 წლის ბიჭუნები გამოვიდნენ, რომლებმაც მოხდენილად შეასრულეს დილის ვარჯიშის კომპლექსი. ისინი ბატუტზე სინქრონული ხტომების ოსტატებმა შეცვალეს, შემდეგ მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებმა ჯგუფური ვარჯიში შეასრულეს ლენტით.

კარგი იყო მაია ნადიბაიძის (უსაგნოდ), მონიკა გუნიას (ბურთით) და ქეთინო კუჭავას (ლენტით) ვარჯიშიც, გოგონათა ჯგუფური გამოსვლა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მუსიკაზე „დინამო, დინამო..." და სხვა. ტაიჭზე თავიანთი ხელოვნება წარმოგვიდგინეს სპორტის ოსტატებმა ავთანდილ კუპრეიშვილმა და გურამ ბახიამ, ორძელზე — სპორტის ოსტატებმა კოტე ლაშხმა და გიორგი რაჭველიშვილმა.

სსრ კავშირის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მალხაზ თათარაძის გამოსვლას არც თუ ისე ხშირად იხილავთ თბილისში. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ტანმოვარჯიშემ (იგი საკავშირო ნაკრების წევრია) ამ დღეს მაღალი ოსტატობა გვიჩვენა ორძელსა და ტაიჭზე.

საინტერესო იყო, აგრეთვე, რესპუბლიკის უძლიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშეების ირინე გაბაშვილის, ლალი დოლიძის, მარინე მორბედაძის, მარინე ხალილოვას, ირინე ქემჩუქინას და სხვათა გამოსვლები. მათვე წარმოგვიდგინეს ჯგუფური (ექვსეული) ვარჯიში რგოლებით, რომლითაც წლეულს საბჭოთა ნაკრები გამოდიოდა მადრიდში გამართულ ევროპის ჩემპიონატში.

— ამ ვარჯიშს ჩვენი გოგონები სპეციალურად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის ამზადებენ, — გვეუბნება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ სპორტის ოსტატი ნელი სალაძე. დრო ჯერ კიდევ გვაქვს და, ვფიქრობ, ჩვენი ექვსეული კიდევ უფრო დახვეწს ოსტატობასა და სინქრონულობას.

დიდი მოწონება ხვდათ, აგრეთვე, ზეიმის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებს, 8 წლის სპორტსმენებს ჟენია შირინკინას (მხატვრული ტანვარჯიში) და ანდრეი პოლიანსკის (ბატუტი), 12 წლის ნინო გრიშაშვილს (თავისუფალი ვარჯიში).

სამწუხაროდ, სტუმართაგან ამ საინტერესო საღამოზე მხოლოდ ერთი სპორტსმენი ვიხილეთ — სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საკავშირო ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი, ელენე ტომასი, რომელიც სახტუნელათი და გურზებით ვარჯიშში გამოდიოდა. მაყურებლებმა მხურვალე ტაშით შეაფასეს მისი დახვეწილი ოსტატობა...

* * *

**აი რა გვითხრა** ზეიმის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ალბინა დერიუგინამ, რომელიც თბილისში მხატვრულ ტანვარჯიშში საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა:

— ტანვარჯიშის დღესასწაული მართლაც კარგი იყო. ჩემს კოლეგებს — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ბატაევს (მოსკოვი), სპორტის დამსახურებულ ოსტატს ე. ბირიუკს (კიევი), რუსეთის ფედერაციის დამსახურებულ მწვრთნელს ნ. ბარაკინას (ლენინგრადი), აზერბაიჯანის დამსახურებულ მწვრთნელს ნ. მერკულოვას (ბაქო) — განსაკუთრებით მოგვეწონა ი. გაბაშვილის, ლ. დოლიძის, მ. მორბედაძის, მ. ხალილოვას, ი. ქემჩუქინას გამოსვლები. დიდი უშუალობით, ემოციონალურობით გამოირჩევა ნორჩი ჟ. შირინკინა, აკრობატთა შერეული წყვილი, ტანმოვარჯიშე მ. თათარაძე — ჩანს მისთვის დონეცკში დამსახურებულად გადაუციათ საკავშირო „ოქრო". სამწუხაროდ, ტანვარჯიშის დღესასწაულზე თბილისში ვერ ჩამოვიდა ირინე დერიუგინა, მაგრამ ჩემს შვილს საპატიო მიზეზი აქვს — იგი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა მოსკოვში (სხვათა შორის, ჩვენმა მაყურებელმა ირინე იმ საღამოს მაინც იხილა... ცისფერ ეკრანზე სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა მატჩის დროს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, სადაც იგი პლენუმის მეორე მონაწილესთან — ცნობილ ტანმოვარჯიშე ნიკოლოზ ანდრიანოვთან ერთად „იზვესტიის" პრიზის გათამაშებას ადევნებდა თვალყურს).

...მაშ ასე, ტანვარჯიშის ზეიმი შედგა. იმედია, კარგ საქმეს გაგრძელება ექნება.

ო. ოთარაშვილი.



სურათებზე: თავისუფალ ვარჯიშს ასრულებს ი. გაბაშვილი; ასპარეზობს აკრობატთა ოთხეული; ორძელზეა მ. თათარაძე; მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა.

ე. ხუცურაულის ფოტოები.





## კალათბურთი

### ტალინსა და სვერდლოვსკში

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ტალინის ტურის მორიგი მატჩები: თბილისის „დინამო" დამარცხდა კიევის „სტროიტელთან" — 66:82 (33:45), ცსკა-მ მოუგო „კალევს" — 94:83 (55:34), რიგის ვეფ-მა — ვლადივოსტოკის „სპარტაკს" 95:78 (45:46).

**გუშინწინ** სვერდლოვსკში დაიწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა — რიგის ტტტ-მ დაამარცხა კიევის „დინამო" — 75:65. დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: „დინამო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 85:63, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ცსკა 89:80.

ჩემპიონატის მონაწილე დანარჩენი გუნდები დნეპროპეტროვსკში ასპარეზობენ. აქ თამაშები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 97:78, „დინამო" (ნოვოსიბირსკი) — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 81:80, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 93:69.

გვიხსენებს ეჟენებლიერი ეთა-ბარი

**ტურისტული გვერდი № 7 (17)**

# რას გვპირდება 1979?

**ტურიზმის** რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა მომავალი წლის გეგმა, რომელიც ბევრ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს. მათ შორისაა სამთო-ქვეითი, ავტო-მოტო და საწყლოსნო ტურიზმის მიმდევართა საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებების მოწყობა. ამ სახეობების ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარების გამართვა...

მტკიცედ დამკვიდრდა ზონალური და მასობრივი ტურისტული შეკრება-შეჯიბრებები თბილისში, ქუთაისსა და ლაგოდეხში. ისინი კვლავაც აპირებენ კარგი ტრადიციის გაგრძელებას. მაგალითად, ქუთაისელ ტურისტთა ზონალური შეკრება-შეჯიბრება ხვამლის მთაზე ჩატარდება. ლაგოდეხში კი აპირებენ მოძმე დაღესტანის ტურისტთა მოწვევას. გათვალისწინებულია თბილისის ტურისტული კლუბისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილების ერთობლივი ღონისძიებები, რომლებიც, ტრადიციულად, გამარჯვების დღეს მიეძღვნება.

გაიმართება ქუთაისელ ტურისტთა საშემოდგომო შეკრება-შეჯიბრებაც, რომელიც რესპუბლიკის უხუცესი მხარეთმცოდნის — პეტრე ჭაბუკიანის მემორიალის სახელს ატარებს.

ზაფხულში ცენტრალურ კავკასიონზე ჩატარდება სამთო ტურისტთა მრავალდღიანი შეკრება. მისი მონაწილენი ჩაატარებენ I, II და III კატეგორიის სირთულის ლაშქრობებს.

უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაისის დღესასწაულებს რესპუბლიკის ასეულობით ტურისტი და აქტიური დასვენების მოყვარული საქართველოს მდინარეების პირას ატარებს. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა ალაზნის, რიონის, ცხენისწყლისა და ბზიფის ხეობებში. სამწუხაროდ, დამსვენებლები ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო სიფრთხილეს — არღვევენ ტურისტული მოგზაურობის წესებს, რაც ზოგჯერ სავალალო შედეგებით მთავრდება.

წლეულს, გაზაფხულის მიწურულს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს საკონტროლო-სამაშველო სამსახურისა და ტურიზმის ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა უსაფრთხოების პროფილაქტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი შეკრება. მასში ფართოდ ჩაება ტურისტთა აქტივიც. ამის შემდეგ მოეწყო დროებითი საკონტროლო სამაშველო პუნქტები რიონის ზემო წელსა და ბზიფის ხეობაში. გაძლიერდა კონტროლი ტურისტთა ჯგუფების ლაშქრობების, მათი მომზადებისა და უსაფრთხოების ღონისძიებათა დაცვისთვის, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო: წლეულს რესპუბლიკის მდინარეებზე არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

**ქ. ბახუტაშვილი.**

# მღვიმეები მესაიდუმლეთა ფორუმზე

**საქართველოს** სამართლიანად უწოდებენ მღვიმეების ქვეყანას. ენგურის ხეობიდან მდინარე ფსოუმდე გადაჭიმულია კარსტული ზოლი, რომელიც ტრანზიტული მდინარეების მიერ ცალკეულ მასივებადაა დანაწევრებული. ამ ზოლში ხუთასზე მეტი კარსტული მღვიმე, შახტი და უფსკრულია აღმოჩენილი. მათ შესწავლის მღვიმეთმცოდნეობა, ანუ სპელეოლოგია. სპელეოლოგიური კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს პალეოგეოგრაფიის, ზოოლოგიის თუ არქეოლოგიური საკითხების გარკვევისთვის. ცალკე უნდა აღინიშნოს კარსტული მღვიმეების შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა (კარსტული გამოქვაბულებისა და მღვიმური წყლების სამეურნეო, ტურისტული და სხვა მიზნებისთვის გამოყენება).

ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე კეთილმოწყობილი მღვიმეა, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასეთ მღვიმეებს მიეკუთვნება „კრისტალური“ და „ატლანტიდა“ — ტერნოპოლის მხარეში, „კუნგურის“ ყინულოვანი მღვიმე — პერმის ოლქში, „ბახარდენის“ — თურქმენეთში, „სათაფლია“ — საქართველოში. და მაინც, პირველობა ახალი ათონის მღვიმეს ეკუთვნის.

საერთოდ, აფხაზეთი უნიკალური კარსტული რეგიონია. არაბიკას, ბზიფის, გუმიშხა-ფსირცხას, წებელდის, ოხაჩქუეს და სხვა კარსტული მასივები დიდი ხანია ჩვენი ქვეყნის სპელეოლოგთა და ტურისტთა ყურადღებას იპყრობს. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგებმა სწორედ აქ, ფსირცხა-მსრას წყალგამყოფზე აღმოაჩინეს და შეისწავლეს ახალი ათონის მღვიმე. მისი სახელი უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ახალი ათონის მღვიმე ხომ მსოფლიოს სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი ტურისტულ-საექსკურსიო ობიექტია, რომლის პოპულარობა დღითიდღე იზრდება.

სამი წლის მანძილზე იგი სამ მილიონამდე ადამიანმა დაათვალიერა. შარშან კი ამ კომპლექსის შემქმნელ კოლექტივს მეცნიერთა, არქიტექტორთა და მშენებელთა დიდ ჯგუფს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ ამას წინათ სწორედ **ხოხუმში გაიმართა სპელეოლოგთა საკავშირო თათბირი.** იგი მიეძღვნა კარსტულ მღვიმეთა საექსკურსიო მიზნით გამოყენების პრობლემებს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, სულ ჩვენი ქვეყნის ორმოცამდე ქალაქის წამყვანი კარსტმცოდნეები, სპელეოლოგები, გეოლოგები, ჰიდროგეოლოგები და სპელეოლოგი სპორტსმენები.

თათბირი მოაწყეს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრომ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კარსტისა და სპელეოლოგიის კომისიამ, გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა სპელეოლოგიურმა საბჭომ, ტურიზმისა და ექსკურსიების აფხაზეთის საოლქო საბჭომ.

გამართული სჯა-ბაასი ეხებოდა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სახალხო მეურნეობაში კარსტული მღვიმეების გამოყენების საკითხები, საინჟინრო სპელეოლოგიის ამოცანები, მღვიმეების ასათვისებლად მომზადების მეცნიერული საფუძვლები, კარსტული მღვიმეებისა და მათში არსებული ნალექების ფორმირების საკითხები, მღვიმეების კვლევის მეთოდიკის, ტექნიკისა და ტაქტიკის თავისებურებანი...

მრავალფეროვანი მოხსენებებით წარსდგნენ მასპინძლები. ახალი ათონის მღვიმური კომპლექსის კვლევის გამოცდილებას მიეძღვნა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის გამგის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის **ზ. ტინტილოზოვის** მოხსენება. მღვიმეების, როგორც ტურისტული კომპლექსების დაცვის საკითხებს ეხებოდა **კ. რაქვიაშვილის** მოხსენება, რომელიც პროფესორ **ვ. დუბლიანსკისთან, ი. ზიმელსთან** და **ს. ლოზოვოისთან** ერთად მომზადდა. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა **თ. კიკნაძემ** დოცენტ **ბ. ივანოვთან** ერთად წარმოადგინა კარსტული მღვიმეების საექსკურსიო ობიექტებად მომზადების სამეცნიერო საფუძვლები. „ახალი ათონის მღვიმის ექსპლოატაციის გამოცდილებიდან“ — ასეთი იყო ახალი ათონის მღვიმური კომპლექსის დირექტორის **ვ. ვოუბას** მოხსენება. საქართველოს სპელეოლოგიურ შესწავლას ეხებოდა დოცენტ **შ. ყიფიანის, ზ. ტინტილოზოვის, ჯ. ჯიშკარიანის, ო. ერქომაიშვილისა** და **კ. წიქარიშვილის** მოხსენება. **ჯ. ჯიშკარიანის** მოხსენებაში, რომელიც მან ავტორთა კოლექტივთან ერთად წარმოადგინა, განხილული იყო კარსტული მღვიმეების საექსკურსიო ობიექტებად გამოყენების პერსპექტივები საქართველოში. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის **ე. აბაშიძის** მოხსენება ეხებოდა სტაციონარული და საველე ლაბორატორიების როლს კარსტული პროცესების შესწავლისა და მღვიმეების დაცვის საქმეში. დოცენტმა **ქ. უავრიშვილმა** წარმოადგინა შაორის გამოქვაბულის კარსტული ლანდშაფტის გამოყენების შესაძლებლობანი ტურისტულ-საექსკურსიო მიზნებისთვის. ახალი ათონის მღვიმის მაგალითზე სპელეოლოგიური ობიექტების საექსკურსიო მომსახურებას ეხებოდა ახალი ათონის მღვიმური კომპლექსის უფროსი მეთოდისტის **ე. ლაკერბაიას** მოხსენება.

თათბირზე მოისმინეს ასზე მეტი მოხსენება, რომელთა განხილვამ თათბირის მონაწილეებს საშუალება მისცა დაესახათ ამ მიმართებით მუშაობის პერსპექტივები.

თათბირის მუშაობის პერიოდში მოეწყო კონკურსი საუკეთესო კომპლექსური ექსპედიციის გამოსავლენად. წარმოდგენილი იყო ქვეყნის ყველა ძირითადი სპელეოლოგიური კომისიის სამოცზე მეტი ექსპედიციის მასალები. ჟიურის გადაწყვეტილებით **I ადგილი და ოქროს მედალი წილად ხვდა ლვოვის სპელეოლოგიური კლუბის „ციკლოპის“ წევრებს „ოპტიმისტურის“** მღვიმის გამოკვლევისთვის. 1965 **წლიდან ამ კლუბის წევრებმა მ. სავჩინის ხელმძღვანელობით** რამდენიმე ათეული ექსპედიცია მოაწყეს მღვიმის გამოსაკვლევად. **ამჟამად „ოპტიმისტურის“** მიწისქვეშა ლაბირინთების საერთო სიგრძე 131 კილომეტრს აღემატება და ამ მხრივ მეორეა მსოფლიოში. **II ადგილი და ვერცხლის მედალი მიენიჭა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სპელეოტურისტული კომისიის წევრებს: რ. ჯანაშვილს** (ხელმძღვანელი), **ი. ავდალოვს, კ. რაქვიაშვილსა** და **ჯ. ჯიშკარიანს** წყალტუბოს რაიონის მღვიმეების გამოკვლევისთვის. III ადგილი წილად ხვდა **ჯ. ჯიშკარიანს** (ხელმძღვანელი), **თ. ბაქანიძეს, ლ. ქალდანს, ო. ერქომაიშვილს, ტ. ბერიძეს, ე. ნაკაიძეს, ი. ავდალოვს, რ. ჯანაშვილს, პ. გეგელაშვილს, ზ. ჯანიაშვილს, გ. სოფაძეს** და **ლ. ჩიტეიშვილს** ასხის მასივზე ჩატარებული გამოკვლევებისთვის.

თათბირის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია გამოფენამ — „საქართველოს კარსტული მღვიმეები ტურიზმის სამსახურში“, რომელიც მოაწყო ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიასთან ერთად. გამოფენის თორმეტ სტენდზე (ავტორები — ჯ. ჯიშკარიანი, ი. ავდალოვი, ჭ. ქორიძე) აისახა საქართველოში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კარსტის კვლევაში მიღწეული წარმატებები.

აქვე მოეწყო სპელეოლოგიურ თემატიკაზე შექმნილი კინოფილმების, ფოტოსურათების, ბუკლეტების, ემბლემების, სამკერდე ნიშნების დათვალიერება-კონკურსი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკიდან წარდგენილმა სამივე ფილმმა საპრიზო ადგილი დაიმსახურა. **I ადგილი და ოქროს მედალი მიეკუთვნა ფილმს — „საქართველოს იდუმალი სამყარო“** (ოპერატორი რეჟისორი — **ე. გერმიშვილი,** სცენარის ავტორი — **თ. კიკნაძე), ვერცხლის მედალი მიენიჭა რეჟისორ ვ. მიქელაძის ფილმს „852 საათი ანაკოფიის უფსკრულში“.** (ოპერატორი — **ე. გერმიშვილი,** სცენარის ავტორი — **ზ. ტინტილოზოვი). ბრინჯაოს მედალი** მოიპოვა **თ. კიკნაძის ფილმმა „არაბიკა“.**

ჟიურიმ **საუკეთესოდ** ცნო **ი. ავდალოვისა** და **ვ. ქორიძის ემბლემა — „მღვიმეები და ტურიზმი“.** გარდა ამისა, ქართველი სპელეოლოგების ერთი ჯგუფი დაჯილდოვდა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს სიგელებითა და სამახსოვრო მედლებით სპელეოლოგიურ კვლევაში მიღწეული წარმატებებისთვის.

თათბირის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ აქ წარმოდგენილ თვითნაკეთ საჭურველს, რომელიც სპელეოტურისტებმა წარმოადგინეს. საინტერესო იყო ბლოკები და თვითმჭერები დიდი სიღრმეების დასაძლევად, ტელეფონები ცალმხრივი და ორმხრივი კავშირისთვის, განათების საშუალებები, წყალქვეშა საცურაო მოწყობილობანი... საჭურველის ზოგიერთ ნიმუშს რეკომენდაცია მიეცა მასობრივი წარმოებისთვის.

სპელეოლოგთა ფორუმზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს სპელეოლოგიურ კვლევას და სპელეოტურიზმის შემდგომ გაფართოებას ჩვენს ქვეყანაში.

**ქ. მიქაბერიძე.**





* * *

**სურათებზე:** კარაბის მღვიმის ერთ-ერთი დარბაზი; ყინულის „კობრა“.

ს. ბარანოვის (ჩელიაბინსკი) ფოტოები.

# ღრთობა სულიერი და ფიზიკური

**ზესტაფონის** რაიონის სოფელ ზედა საქარის საშუალო სკოლაში უყვართ ტურიზმი და ხშირადაც აწყობენ სხვადასხვა ლაშქრობებს. ამ დღეებში სკოლის უფროსკლასელთა მონაწილეობით მოეწყო ასეთი სამდღიანი ღონისძიება მარშრუტით: ზედა საქარი — ქუთაისი. — ტყიში — ხვამლის მთა. ქუთაისში მოსწავლე ტურისტები შეხვდნენ ბავშვთა ტურისტული ბაღის თანამშრომლებს, მოაწყეს ლაშქრობა ხვამლის მთაზე. უკან დაბრუნებისას კი შეხვდნენ სოფლის ახალგაზრდობას, ვეტერან კომკავშირელებს, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს...

ამას წინათ დასავლეთ საქართველოს სამდღიან ზონალურ შეკრება-შეჯიბრებაში სკოლამ II ადგილი დაისაკუთრა. მოსწავლეთა ერთი ჯგუფი დაჯილდოვდა ქების სიგელებითა და დიპლომებით.

კიდევ უფრო საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ზაფხულში მოწყობილი ხუთდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ზედა საქარა — ჭიათურა — საჩხერე — ბორჯომი — წაღვერი — ბვერდის უბანი. ნორჩმა ტურისტებმა 300 კილომეტრზე მეტი ქვეითად გაიარეს, გამოავლინეს კარგი ფიზიკური გამძლეობა, წრთობა და სულიერი სიმტკიცე. ამ ლაშქრობაში სსრ კავშირის ტურისტის წოდება ცხრა მოსწავლემ მოიპოვა, ხოლო თორმეტმა — საქართველოს ნორჩი ტურისტისა.

სკოლამ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში IV ადგილი დაიკავა და ეს გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლე ტურისტები მომავალშიც საინტერესო ლაშქრობებს მოაწყობენ.

**ა. განუგრაშვ.**
**(ჩვენი კორ.).**

ზესტაფონი.



# ფეხბურთი არ არსებობს პრობლემების გარეშე!

**აი, უკვე** ათიოდე წელია ახლანდელი სისტემით მიმდინარეობს საკავშირო გათამაშება I ლიგაში და ამ სტაბილურობამ, ტრადიციათა სიმყარემ ლიგას გარკვეული ავტორიტეტი მოუპოვა ჩვენს ფეხბურთში. აქ მონაწილეობენ მსხვილი სამრეწველო ქალაქების, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების ცნობილი გუნდები, მატჩებს საკმარისად ესწრება მაყურებელი, თამაშები მიმდინარეობს შესაფერის სპორტულ დონეზე, ბევრ გუნდს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელები, გამოცდილი ოსტატები. საკმარისია ითქვას, რომ 20 მონაწილე გუნდიდან 12 სხვადასხვა დროს გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში.

I ლიგა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა: აქ გამოდის რესპუბლიკის მეორე გუნდი — ქუთაისის „ტორპედო“. გუნდი, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთის საერთო აღმავლობისთვის, რომელმაც პირველხარისხოვან ფეხბურთელთა მთელი პლეადა აღზარდა და გამოაწრთო თავის რიგებში.

რაც არ უნდა მკაცრი საზომით და მომთხოვნელობით მივუდგეთ ტორპედოელთა ტექნიკურ შედეგებს წლევანდელ გათამაშებაში, ვილაპარაკოთ მათს უდავო შესაძლებლობებზე დაეკავებინათ უფრო მაღალი ადგილი ლიგის საბოლოო ცხრილში, ერთი რამ ყველასთვის უცილობელი და ცხადია: გუნდი მუდამ პირნათლად და ღირსეულად ამართლებდა მის წინაშე მდგარ უმთავრეს და ყველაზე რთულ ამოცანას — მოამზადოს მაღალი კლასის ფეხბურთელები საქართველოს პირველი გუნდისთვის.

საერთოდ, როცა ვლაპარაკობთ ქუთაისის „ტორპედოზე“, როგორც წესი, წამოგვეჭრება პრობლემათა მთელი რიგი, რთული საკითხების მრავალი ასპექტი. ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მათგან არის გუნდის დაკომპლექტების საკითხი.

ცნობილია, რომ ქუთაისის „ტორპედო“ უმთავრესად საკუთარი კადრებით, ქალაქის ბავშვთა გუნდებში აღზრდილი მოთამაშეებით იბრძვის დიდ ასპარეზზე და ძნელად რომ ჰპოვოთ სხვა რომელიმე კლუბი, რომელიც ასე საიმედოდ იყოს დაყრდნობილი საკუთარ რეზერვებს, შინაურ რესურსებს. ეს თავისებური უნიკალური მოვლენაა, ქუთაისური ფენომენი. მაგრამ დრო და დრო, პერიოდულად, „ტორპედოს“ საუკეთესო ფეხბურთელები, რომელთა ოსტატობის დონე ხშირად საერთაშორისო კლასით შეიძლება განისაზღვროს, გადადიან თბილისის „დინამოში“ და იქ განაგრძობენ თამაშს.

ამ სადავო საკითხის გადაჭრისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვიჩინოთ ვიწრო საუწყებო ან კუთხური მიდგომა და ვილაპარაკოთ საკლუბო ინტერესების პოზიციებიდან. სად მიდიან ქუთაისელი ფეხბურთელები? ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, არა თბილისის „დინამოში“, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ საქართველოს პირველ ნაკრებში, რესპუბლიკის სპორტული ღირსების დამცველ კოლექტივში, რომელსაც ერთობ დიდი მნიშვნელობის საკითხები აქვს გადასაჭრელი სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში. თუ საქართველოს პირველ ნაკრებს არ ექნება ისეთი შენაკადი, როგორიც ქუთაისის „ტორპედოა“, იგი დათმობს თავის დღევანდელ ბრწყინვალე პოზიციებს და შეიძლება საშუალო დონემდეც ჩამოქვეითდეს. ამდენად ეს ის ტრივიალური გადაყვანა კი არაა ერთი გუნდიდან მეორეში, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა კლუბების პრაქტიკაში, არამედ სულ სხვა რამ. წარმოიდგინეთ, რომ წლეულს თბილისის „დინამოს“ არ ჰყოლოდა რ. შენგელია, თ. კოსტავა, ო. გაბელია (მოგვიანებით — თ. სულაქველიძე)! ვიბრძოლებდით ასე თამამად ოქროს მედლებისთვის? რასაკვირველია, არა!

ზემოჩამოთვლილი მოთამაშეები მხოლოდ ბოლო ხნის შენაძენია თბილისის „დინამოსთვის“, ჩვენ კი კარგად გვახსოვს ადრინდელ ფეხბურთელთა მდიდარი ნაკადიც. ქუთაისის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ მოთამაშეთა გადაყვანის როლი და მნიშვნელობა ყველამ კარგად უნდა გაიგოს, ეს პროცესი ორგანულია და აუცილებელი. საკითხს ფართო მასშტაბით უნდა მიდგომა.

სულ სხვა საკითხია, რომ ქუთაისსაც ესაჭიროება დახმარება და სანაცვლო კადრების მიწოდება. ასეთ შემთხვევებში ტორპედოელებს არ აკლებენ ყურადღებას, გუნდს საჭირო შევსება მოსდის თბილისიდანაც, სხვა ქალაქებიდანაც, მაგრამ მთავარი, საარსებო წყარო მაინც, ვიმეორებთ, არის ქუთაისის სპორტულ სკოლებში აღზრდილი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა.

ქუთაისის „ტორპედომ“ წლეულს ლიგაში დაიკავა IX ადგილი. თავისთავად ეს არაა ურიგო მაჩვენებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან უკან ჩამოიტოვა კიშინიოვის, ოდესის, იაროსლავლის, დუშანბეს, სვერდლოვსკისა და სხვა დიდი ქალაქების გუნდები, მაგრამ შედეგი უკეთესი იქნებოდა, რომ გუნდს სეზონის მსვლელობაში არ ჰქონოდა პერიოდული ჩავარდნები, ცალკეული წარუმატებლობანი, გაუმართლებელი მატჩები. მიზეზი აქ რამდენიმეა: ორგანიზაციული ხასიათის მოუწესრიგებლობანი, ხელმძღვანელობის ცვლა, შემადგენლობის დენადობა. გუნდს შეეძლო გამოეჩინა მეტი ბრძოლისუნარიანობა, ნებისყოფის სიმტკიცე, თამაშის დონის სტაბილურობა, მობილიზება.

ჩვენი აზრით, ქუთაისის „ტორპედო“ 1978 წელს არ გამოიყურებოდა ურიგოდ, იგი იყო და რჩება პერსპექტიულ, თვითმყოფად, საინტერესო კოლექტივად. ისევე, როგორც თბილისის „დინამოსი“, ქუთაისელთა გუნდის დაკომპლექტებაც მთელი რესპუბლიკის საფეხბურთო საზოგადოების მნიშვნელოვანი, ღვიძლი საქმეა.

როცა ვლაპარაკობთ 1978 წლის სეზონზე, არ შეიძლება მისი შეფასება ჩვეულებრივი, ორდინალური საზომით. განვლილი წელი საგანგებო მოვლენაა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მან მოგვიტანა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები, გამარჯვების კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, საყოველთაო ზეიმი და სიხარული, მოგვიტანა ის წარმატება, რომელსაც სპორტის ამ სახეობის ახალი წინსვლა უნდა მოჰყვეს რესპუბლიკაში.

ამგვარი მასშტაბის გამარჯვება შეუძლებელია მოპოვებული იქნას მხოლოდ მოვლენათა იღბლიანი მსვლელობის, შემთხვევით შექმნილი კონიუნქტურის მეოხებით, ოქროს მედლები თავისით არ ცვივა ციდან და ჩემპიონობაც მუდამ კანონზომიერი, ლოგიკური შედეგია გარკვეული პროგრესისა: ბოლო წლები თბილისის „დინამოს“ მკვეთრი, მძლავრი აღზევების ხანაა.

## ფიქრები განვლილ სეზონზე

თბილისის „დინამოს“, სსრ კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში რამდენიმეჯერ ჰქონდა მკვეთრი მომძლავრების პერიოდი. პირველად ეს იყო 1936-48 წლების ჩემპიონატებში (III, IV, VI, II, II, IV, III, III, IV ადგილები), 1950-53 წლებში (III, II, IV, II ადგილები), 1964 წელს ჩემპიონი იყო, 1969-72 წლებში (III, IV, III, III ადგილები), 1976-78 წლებში (III, III, II, I ადგილები, სსრ კავშირის თასი).

როგორც ხედავთ, გუნდის ახლანდელი წარმატება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ასეთი მაღალი, მჭიდრო მაჩვენებლების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის „დინამო“ თავისი სიძლიერის ზენიტში იმყოფება. ესაა მტკიცედ შეკავშირებული, მძლავრი, საინტერესო, თამაშის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული კოლექტივი, მას არა აქვს სუსტი ადგილები, გააჩნია ე. წ. „გრძელი სკამი“, როცა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელის შეცვლა სათადარიგოთი გინდა ტრავმის შემთხვევაში, გინდა ტაქტიკური მოსაზრებით, შეიძლება ტოლფასოვნად, სავსებით უმტკივნეულოდ. გუნდის შემადგენლობაში არიან მაღალი კლასის, ჩამოყალიბებული ოსტატები, მათი შემცვლელებიც გვპირდებიან არანაკლებ საინტერესო, კვალიფიციურ თამაშს, იძლევიან შემდგომ წარმატებათა საიმედო გარანტიას. გუნდმა ჩემპიონატის შეხვედრათა უმეტესობა ჩაატარა აშკარა პროგრესით, მაღალტექნიკურად, ლამაზად, სხვადასხვაგვარი ტაქტიკური ვარიანტით.

ჩვენ არაერთი შემთხვევა გვახსოვს, როცა თბილისის „დინამოს“ სულ ერთი ნაბიჯი აკლდა ხოლმე უმაღლესი ჯილდოების მოგებამდე და სწორედ გადამწყვეტ მომენტში, ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩში „დასცდენია“ ის ერთი ნაბიჯი. ასეთი შემთხვევები იყო თასის გათამაშებაშიც, ჩემპიონატებშიც. ახლა გუნდი ახალი სახით წარმოგვიდგა და პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ესაა მისი ფსიქოლოგიური მომზადების განმტკიცება, სანებისყოფო თვისებების გაძლიერება, სოლიდურობა, ნამდვილი სპორტული სოლიდურობა.

უწინ ჩვენს მეტოქეებს მუდამ ჰქონდათ იმის იმედი, რომ თბილისელებს შეიძლება უმტყუნოს ნერვებმა, შეიძლება მოხდეს შეცდომები დაცვაში, გუნდი მოუმზადებელი შეხვდეს პირველივე წარუმატებლობას. ახლა ეს დიდი მინუსები მნიშვნელოვნად გამოსწორდა. კოლექტივი, ვიმეორებთ, ხოლიდურ ძალად იქცა, სტაბილური გახდა, დავაჟკაცდა და ავტორიტეტებთან ბრძოლაში აღარ უჩივის ნერვების სისუსტეს.

მწვრთნელები შემოქმედებითად მიუდგნენ საქმეს, საფუძვლიანად იქნა შერჩეული ძირითადი შემადგენლობა, რაციონალურად განაწილდა ფუნქციები მოთამაშეთა შორის. ყველას გამოუძებნეს შესაფერისი ადგილი და დააკისრეს ის მოვალეობანი, რომლებსაც ითვალისწინებს თანამედროვე ტოტალური ფეხბურთი. რად ღირს თუნდაც ის მაგალითი, როცა მარცხენა მცველის პოზიციაზე შესანიშნავად გამოვლინდა ადრე საშუალოდ მიჩნეული გ. მაჩაიძის შესაძლებლობები და მონაცემები.

თბილისის დინამოელებს უწინ განწყობილების გუნდს უწოდებდნენ, რაც არსებითად ხაზს უსვამდა მის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვან მხარეს — თამაშის არასტაბილურობას. ახლა ამ იშვიათი განწყობილების მერყევი ნიავ-ქარი შეცვალა ყოველთვის საბრძოლო ფორმაში ყოფნის მუდმივმოქმედმა ფაქტორმა. გუნდი არ ღალატობს თავის თავს, ჩავარდნები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ის იმედი, რომ თბილისის „დინამო“ დღეს ფორმაში არ იქნება — [illegible] მეტოქეს. ამას გარდა, გუნდში მოიკლო ჭარბი ინდივიდუალიზმის მავნე ტ[illegible] გამიზნული კოლექტივური კანონებს ემყარ[illegible] მოთამაშეთა იმპროვიზაცია, სათამაშო გეგმა კანონად იქცა ყველასათვის. გუნდის წარმატებაში თითოეულ მოთამაშეს შეძლების ფარგლებში შეაქვს თავისი წვლილი. პრინციპი — ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის სავალდებულოა ყოველი დინამოელისთვის.

თბილისის „დინამოს“ ცალკეული ფეხბურთელის თამაშის გარჩევა და დახასიათება ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, თითოეულმა მათგანმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი და კეთილსინდისიერად ემსახურა კოლექტივს, მაგრამ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც გუნდის გამარჯვებაში მიუძღვის მის კაპიტანს მ. მაჩაიძეს. იგი გვევლინებოდა დინამოელთა თამაშის ორგანიზატორად. იერიშების სულის ჩამდგმელად, მ. მაჩაიძის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, მებრძოლის თვისებები, ხასიათის სიმტკიცე სამაგალითო იყო პარტნიორებისთვის.

როცა ვლაპარაკობთ თბილისის „დინამოს“ ახლანდელ წარმატებებზე, მის დიდ გამარჯვებაზე, ეს უპირველეს ყოვლისა მწვრთნელთა კოლექტივის დიდი და უცილობელი დამსახურებაა. ნ. ახალკაცი, კ. ასათიანი, ს. კუტივაძე ძალებისა და ენერგიის დაუშურებლად მუშაობდნენ ფეხბურთელებთან, მიმართავდნენ წვრთნის ახალ, პროგრესულ მეთოდებს, სრული სერიოზულობით და მომთხოვნელობით უდგებოდნენ ყოველ, თუნდაც უმნიშვნელო საკითხს და ნაყოფიც სახეზეა. ჩემპიონობის დამსახურება თანაბრად ნაწილდება ყველაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, უხერხული კომპლიმენტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნ. ახალკაცმა სულ მცირე ხნის მანძილზე საყოველთაო აღიარება ჰპოვა ფართო საფეხბურთო წრეებში, მისი ერუდიცია, ცოდნა და პედაგოგიური ტაქტი თითით საჩვენებელი გახდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო ცნობილ და ავტორიტეტულ მწვრთნელებს შორის. ჩვენ გვახსოვს როდის მოვიდა თბილისის „დინამოში“ ნ. ახალკაცი. მაშინ გუნდის წინაშე სრული სიმძლავრით იდგა უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი, კოლექტივს უჭირდა, მდგომარეობის სახსნელად საჭირო გახდა საგანგებო ღონისძიებათა გატარება. მაშინ, 1974-75 წლებში ნ. ახალკაცი გუნდის უფროსი იყო, შემდგომ, 1976 წელს იგი უფროსი მწვრთნელი გახდა და თუ რა შედეგებს მიაღწია, ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

მწვრთნელის საუკეთესო ატესტაციაა ის ადგილი, რომელსაც გუნდი იკავებს გათამაშებაში. ამ მხრივ ნ. ახალკაცი არ საჭიროებს ზედმეტ რეკომენდაციებს

**ნ. ჩხატარაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**გ. ქორქია,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.**

(დასასრული იქნება)

* * *





სურათებზე: ქუთაისის „ტორპედოს“ წლევანდელი გათამაშების კალენდარული შეხვედრები ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ და იაროსლავლის „შინიკთან“.

ლ. ფარუაშვილის ფოტოები.

## დაჯილდოება

**სსრ კავშირის** პირველობაზე II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდებს შორის მოპოვებული წარმატებისთვის (II ადგილი და სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება) საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სიგელებით დააჯილდოვა ლანჩხუთის „გურიის“ გუნდის ხელმძღვანელობა და მოთამაშეები, ხოლო ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გ. ტ. შევარდნაძე დაჯილდოებულია სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

დაჯილდოებულთა შორის არიან გუნდის უფროსი გ. დუნდუა, გუნდის უფროსი მწვრთნელი შ. კაკაბაძე, მწვრთნელი ბ. სიხარულიძე, მოთამაშეები: ლ. მაყაშვილი, გ. იმნაძე, ლ. გოგუაძე, ზ. ნემსაძე, გ. თავაძე, ვ. ტროიანი, თ. გაბრიჩიძე, თ. ჩხაიძე, მ. მეგრელაძე, რ. ხოფერია, თ. კორძაღლიძე, ა. ჯინჯარაძე, ს. დუდა, ა. სევასტიაშვილი, ა. ნარიაშვილი.

# ასეთია დღე სასახლეში...

**არ შეიძლება** არ მოგეწონოს თბილისის ჭადრაკის სასახლე, მისი მოხდენილი, მიმზიდველი გარეგნობა, მყუდრო დარბაზები. შუქნათელი ფოიე, ვესტიბიულები, მარმარილო და „ჭადრაკულად“ მოჩუქურთმებული ხის კედლები.

— დიდებულია თქვენი სასახლე, სწორედ მას შეეფერება დიდი ტურნირების მასპინძლობა. ალბათ სწორედ ამიტომაც „გაეხსნათ შემოქმედებითი ბრძოლის მადა“ 46-ე ჩემპიონატის მონაწილეებს, — გვეუბნება ცნობილი რიგელი მწვრთნელი და ოსტატი ა. კობლენცი.

ვეებერთელა დარბაზი, რომლის სცენაზე სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი წყდება, მუდამ სავსეა გულშემატკივრებით. ვის არ შეხვდებით აქ. მაგალითად, ჩვენს გამოჩენილ ფეხბურთელს მანუჩარ მაჩაიძეს, ანდა რიგის საჭადრაკო ჟურნალის რედაქტორს, დიდოსტატ აივარ გიპსლისს. ყველას მზერა სადემონსტრაციო დაფებისკენაა მიმართული. ამ დაფებზე მომხდარი ამბები ერთნაირად აღელვებს ყველას.

— მიყვარს თამაში გულშემატკივრებით სავსე დარბაზში, თითქოს ვგრძნობ მათ გულისცემას და ძალაც მემატება, — ამბობს მ. ტალი.

მაგრამ უმრავლესობას სიჩუმე ურჩევნია. იგი უფრო უხდება ჭადრაკს. ამიტომ, როგორც კი დარბაზი ზღვასავით აღელდება (ამისთვის რომელიმე პარტიაში პაიკის შეწირვაც საკმარისია), მთავარი არბიტრი ვ. მიკენასი ხელის „ჯადოსნური“ აღმართვით ამშვიდებს გულშემატკივრებს. ფავორიტთა გამარჯვების ღსანიშნავად დარბაზში მქუხარე ტაშიც ხშირად გაისმის.

სასახლეში ბევრ სტუმარს შეხვდებით. ზემოხსენებული ა. კობლენცი მწვრთნელად ჩამოჰყვა მ. ტალს. რიგელ მწვრთნელს ხუმრობა უყვარს.

— შეგიძლიათ მოგვილოცოთ, მე და ტალს „ვერცხლის ქორწილი“ გვაქვს: ოცდახუთი წელია ერთად ვმუშაობთ, — მითხრა პირველივე შეხვედრისას.

დიდად საპატივცემული კაცია ვ. კარტი, რომელმაც დიდებული სამსახური გაუწია საბჭოთა ჭადრაკს: აღუზარდა ოთხი დიდოსტატი — ო. რომანიშინი, ა. ბელიავსკი, ა. მიხალჩიშინი და მარტა ლიტინსკაია! ამიტომაც ლვოვში, საიდანაც ისინი არიან, ფიზკულტურის ინსტიტუტთან გაიხსნა ჭადრაკის სპეციალიზაცია.

— იცით, როდის მიჭირს? — ამბობს ლეაწლმოსილი მწვრთნელი და განაგრძობს, — როცა ჩემი ბიჭები ხვდებიან ერთმანეთს. არც ერთის წაგება არ მინდა, მაგრამ ისიც იციან, რომ დიდად მაწყენინებენ, თუ „დიდოსტატურად“ დაზავდებიან. ამიტომ მათი თამაში მუდამ მაღელვებს...

სასახლის ერთ-ერთ დარბაზში პრეს-ცენტრია გამართული, რომე-

## რეპორტაჟი

ლსაც თბილისელი ოსტატი დ. ჯანოევი ხელმძღვანელობს. მას რეფერენტად ჰყავს თავისი მოწაფე, ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი. დარბაზში გაწყობილია 9 ჭადრაკი, რამდენ პარტიასაც თამაშობენ ჩემპიონატში. აქ მეორდება ყველა სვლა, რასაც სცენაზე დიდოსტატები აკეთებენ. პრეს-ცენტრი ჟურნალისტებს ემსახურება, გამოსცემს სპეციალურ ბიულეტენებს (ყოველ ტურში ორს), რომლებშიც პარტიების მსვლელობაა აღწერილი.

პრეს-ცენტრშიც შეხვდებით ცნობილ საჭადრაკო მოღვაწეებს, უფრო ხშირად — ჟურნალისტებს ვ. ხენკინს („კომსომოლსკაია პრავდა“, „64“), ვ. ვასილიევს („სოვეტსკი სპორტი“) და სხვებს. აქვეა საქალაქთაშორისო ტელეფონები, ტელეტაიპი.

სასახლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი — საერთაშორისო არბიტრი ლ. წეროძე) ყველაფერი იღონა, რომ ჩემპიონატის დამსწრეთათვისაც კარგი მასპინძლობა გაეწია.

სასახლეში შესვლისთანავე გულშემატკივარი საზეიმო განწყობილებას გრძნობს. მუდამ ფუსფუსია სპეციალურ სტენდებთან, სადაც გაკრულია ჩემპიონატის ცხრილები. ქომაგები მსჯელობენ, ზოგჯერ დავობენ კიდეც...

იქვეა ფრუნზეში მიმდინარე ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის ცხრილიც. მასაც დიდძალი დაინტერესებული ჰყავს. ეს გასაგებიცაა. ამ ტურნირის ლიდერთა ხუთეულში ჩვენი ნიჭიერი გოგონებიც ნინო გურიელი და ნანა იოსელიანი არიან. უკვე ცხადია, რომ ორივე მოხვდება საზონათშორისო ტურნირში.

გულშემატკივრებს ჩემპიონატთან საგანგებოდ გამოცემული პროგრამაც აახლოვებს. მასში ბევრი რამაა საინტერესო თითოეულ მონაწილეზე, თვით ჩემპიონატზე.

დიდი გამოცოცხლებაა ვესტიბიულში, სადაც სისტემატურად იმართება ერთდროული თამაშის სეანსები. გულშემატკივრები უკვე შეხვდნენ სეანსებში მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, გორკელ ოსტატ ო. ჩერნიკოვს, ჩემპიონატის მსაჯს, ოსტატ ა. ბლაგიძეს და სხვებს...

...სწრაფად გარბის თამაშისთვის გამოყოფილი 5 საათი. დიდოსტატთა ბრძოლამ ისეთი გატაცება იცის, რომ დრო შაგრენის ტყავივით ქრება თვალსა და ხელს შუა. ნანახ-გაგონილი შთაბეჭდილება შინ მიჰყვება გულშემატკივარს, იგი კმაყოფილია, რომ საკუთრივ შეეხო ჭადრაკის დიდ ზეიმს, თუნდაც ერთ საღამოს.

ასეთია სასახლეში სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის ყოველი დღე.

თ. გიორგაძე.

* * *

**სურათები** გადაღებულია ჭადრაკის სასახლის მაყურებელთა დარბაზში. ოსტატ ო. ჩერნიკოვის ერთდროული თამაშის სეანსი; მიხეილ ტალის ოჯახი — მეუღლე ენგელინა და პატარა ჟანა.

თ. ქიქავას ფოტოები.





## ემზადებიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები



## პირველი ვარჯიში



ე. ხუცურაულის ფოტოები.

**სსრ კავშირის** 1978 წლის ჩემპიონი — თბილისის „დინამო“ შეუდგა ვარჯიშს ახალი სეზონისთვის. გუშინ დინამოელები არდადეგების შემდეგ პირველად გამოვიდნენ დიღმის სასწავლო-საწვრთნელი ბაზის მინდორზე.

მწვრთნელების — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების, სპორტის ოსტატების ნოდარ ახალკაცის, კახი ასათიანის, სერგო კუტივაძისა და მწვრთნელის ფიზმომზადებაში აკაკი ხუციშვილის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ შეუდგნენ ვარჯიშს მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე, ფ. კანთელაძე, რ. ჩელებაძე, ვ. კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, ნ. ხიზანიშვილი, დ. მუჯირი...

თბილისში მზადების შემდეგ გუნდი იანვრის პირველ რიცხვებში გაემგზავრება საგაზაფხულო საწვრთნელ შეკრებაზე ლესელიძეში, შემდეგ კი ჩემპიონს ელის ძნელი ბატალიები.

# სუპერთასი — „ანდერლეხტს“

ევროპის სუპერთასზე ფეხბურთში, როგორც ცნობილია, ერთმანეთს ხვდებიან კონტინენტის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში გამარჯვებულნი. წლეულს ამ პრიზის პრეტენდენტები იყვნენ ბელგიის „ანდერლეხტი“ და ინგლისის „ლივერპული“.

სუპერთასის პირველი მატჩი ბრიუსელში მოიგო „ანდერლეხტმა“ და მიმომხილველთა უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ანგარიში 3:1 ბელგიელებს უნდა ჰყოფნოდათ საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად. თვით გუნდის უფროსმა მწვრთნელმა რ. გუტალსმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

— გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ მოკრძალებული გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ მატჩი დიდი უპირატესობით ჩავატარეთ და 3 ბურთიც გავიტანეთ. ვფიქრობ, ეს საკმარისი უნდა აღმოჩნდეს.

არ მალავდა ოპტიმიზმს ბელგიის პრესაც, რომელიც, აგრეთვე, არ ელოდა გამარჯვებას 2 ბურთის სხვაობით.

შემდგომში, როცა მოახლოვდა განმეორებითი მატჩის დღე — 19 დეკემბერი, რ. გუტალსი უფრო მოკრძალებული იყო თავის პროგნოზებში და 2-ბურთიანი უპირატესობაც აღარ მიაჩნდა მოგებისთვის საჭირო გარანტიად.

დადგა ეს დღეც და ლივერპულში გაიმართა მეორე მატჩი. მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის და მიაღწიეს კიდეც მას, მაგრამ ბელგიელ ფეხბურთელთა ენერგიული წინააღმდეგობის დაძლევა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ინგლისელებმა მატჩი მოიგეს მხოლოდ ანგარიშით 2:1 და ორი მატჩის ჯამში საპატიო პრიზი „ანდერლეხტის“ კუთვნილებაში აღმოჩნდა.

## ხელბურთი

**საბჭოთა** ხელბურთელთა გუნდებმა ევროპული ტურნირების ორი მატჩი გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა უმასპინძლა ავსტრიის ქალაქ კრემსის „უნიონს“ და გაიმარჯვა 31:27 (16:14). ეს იყო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა (პირველი მატჩი კრემსში 8 დეკემბერს, აგრეთვე, საბჭოთა ხელბურთელებმა მოიგეს — 29:22). ამრიგად, მოსკოველი სტუდენტები თასისთვის ბრძოლის მეოთხედფინალში გავიდნენ.

ვროცლავში ადგილობრივ გუნდს „შლიონსკისთან“ შეხვედრაში ცსკა-ს გუნდი დამარცხდა — 24:26, მაგრამ პირველ მატჩში არმიელთა გამარჯვება პოლონელებზე უფრო შთამბეჭდავი იყო (35:23) და ამიტომ ცსკა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავიდა ორი შეხვედრის შედეგების მიხედვით.

**სსრ კავშირის** ვაჟთა ნაკრებმა მესამე შეხვედრა გამართა დასავლეთგერმანელ სპორტსმენებთან — „ჰოფვეიერის“ გუნდთან (იგი II ადგილზეა გფრ-ის ჩემპიონატში) და კვლავ გაიმარჯვა — 24:20 (16:9).

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 6—49-დან და 5—36-დან ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო“: 6—49-დან:**

**პირველი:** ექვსი (შელავათიანი ბურთულით) ციფრი ვერავინ გამოიცნო; ხუთი (50 ბარათი) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 1302 მანეთია, ხუთისთვის (შელავათიანი ბურთულით, 90 ბარათი) — 60, ოთხისთვის (1879 ბარათი) — 35, სამისთვის (22427 ბარათი) — 3.

**მეორე:** ექვსი ციფრი აქაც ვერავინ გამოიცნო; ექვსი (შელავათიანი ბურთულით) ციფრიც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის (9 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 3445 მანეთია, ხუთისთვის (შელავათიანი ბურთულით, 26 ბარათი) — 97, ოთხისთვის (541 ბარათი) — 72, სამისთვის (10884 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო“ 5—36-დან:**

**პირველი:** ხუთი ციფრის (8 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 8023 მანეთია, ოთხისთვის (798 ბარათი) — 128, სამისთვის (25156 ბარათი) — 6.

**მეორე:** ხუთი ციფრის (4 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1101 ბარათი) — 129, სამისთვის (33306 ბარათი) — 4.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 1978 წლის 27 დეკემბრიდან 1979 წლის 27 იანვრის ჩათვლით.

**ინგლისელი** კევინ კიგანი, რომელიც დასავლეთ გერმანიის კლუბ „ჰამბურგში“ თამაშობს, 1978 წლის შედეგებით მიჩნეულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო ფეხბურთელად. გამოკითხვაში მონაწილეობდა ბუნდესლიგის 271 მწვრთნელი და მოთამაშე, კიგანმა მიიღო 96 ხმა. II ადგილზეა ზ. მაიერი „ბაიერნიდან“ — 46.

## ფეხბურთი

**უეფა-ს** აღმასკომმა მადრიდში მიიღო გადაწყვეტილება შეიმუშავოს მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდების ევროპის პირველობის რეგლამენტი. ეს წინადადება ჯერ უნდა განიხილონ ეროვნულ ფედერაციათა ხელმძღვანელებმა, რის შემდეგ საბოლოო დადგენილებას გამოიტანს უეფა-ს XIV კონგრესი.

## მაგნუსონმა თხილამურები შეინახა

**სტოკჰოლმი.** ცნობილი შვედი მოთხილამურე, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 30-კილომეტრიან დისტანციაზე, ლაჰტის მსოფლიო პირველობის ოქროს მედლის მფლობელი ესტაფეტაში ტომას მაგნუსონი დიდი სპორტიდან წავიდა.

— 17 წლისამ დავიწყე გაძლიერებული ვარჯიში, — თქვა ტომასმა. — შვეციის ნაკრებში ადგილის შენარჩუნებისათვის ყოველდღიურად 6 საათს ვვარჯიშობდი. ახლა 28 წლის ვარ და ორგანიზმს უჭირს დიდი დატვირთვების ატანა. აი, რატომ გადავწყვიტე თხილამურების განზე გადადება.

ამჟამად მაგნუსონი მსახურობს ექსპერტად სპორტული ინვენტარების ერთ-ერთ შვედურ ფირმაში. ამას გარდა, როგორც პრესა იუწყება, იგი გატაცებულია საცხენოსნო სპორტით. (სა კდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და კვირისა რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-36, ხამბატური — 93-97-52, წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-40; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.
ИНДЕКС 66435 — 12415